პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 194 (3678)

1968 წ. 2 ოქტომბერი, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

MEXICO · 1968 · MEXICO · XIX · MEXICO · 1968

ოლიმპიადის გახსნამდე დარჩა 10 დღე

## „სწრაფია" თუ არა მეხიკოს წყალი?



ცურვა სპორტის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. ძველი ბერძნები უბირ კაცზე იტყოდნენ ხოლმე, ამ კაცს არც ცურვა შეუძლია, არც კითხვაო.

იაპონიაში, მაგალითად, ახლაც კი, იმ მოსწავლეს, რომელსაც წყალზე გაჩერება არ შეუძლია, კლასიდან კლასში არ გადაიყვანენ. ძალიან პოპულარულია ცურვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში, გდრ-ში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში.

ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემაში ცურვას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში მოსკოვში, პეტროგრადში, კიევში, ბაქოში, ხარკოვში, დონის როსტოვსა და სხვა ქალაქებში ჩამოყალიბდა მოცურავეთა სპორტული საზოგადოებები.

ცურვაში შეჯიბრება 1896 წლის პირველი ოლიმპიური თამაშების პროგრამაშიც იყო შეტანილი. 1924 (პარიზი) და 1928 წლის (ამსტერდამი) ოლიმპიადებში წყალზე ამერიკელი სპორტსმენები პირველობდნენ. იმ წლებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჯონი ვეისმიულერი, რომელმაც პარიზში სამი და ამსტერდამში ორი ოქროს მედალი დაისაკუთრა. შემდეგში ოლიმპიურმა ჩემპიონმა დიდი პოპულარობა მოიპოვა ტარზანის როლის შესრულებით.

ჩვენი მოცურავეები ოლიმპიურ თამაშებში 1952 წლიდან მონაწილეობენ, მაგრამ ჯერჯერობით დიდი მიღწევებით ვერ დაიტრაბახებენ. ყველაზე თვალსაჩინო პირადი წარმატება მოიპოვა გალინა პროზუმენშჩიკოვამ, რომელმაც ტოკიოში ოქროს მედალი დაისაკუთრა. მაგრამ კონტინენტზე საბჭოთა მოცურავეები უძლიერესთა ჯგუფში არიან. მათ ეკუთვნით გამარჯვება ბუდაპეშტის ევროპულ ჩემპიონატში (1958 წ.), ლაიპციგში (1962 წ.) და უტრეხტში (1966 წ.).

ამ ოლიმპიურ სეზონში ნაკრების კანდიდატებმა რამდენიმე დიდ შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა: გამოვიდნენ საწყლოსნო სპორტის კვირეულში, რომელიც ბრემენში გაიმართა, მონაწილეობდნენ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე მინსკში გამართულ შეჯიბრებაში, სსრ კავშირი — გდრ-ის მატჩში, რომელიც ტალინში ჩატარდა.

კარგად გამოვიდნენ ბრასის სტილით მოცურავენი. საბჭოთა სპორტსმენებს ამ სახეობაში მყარი შედეგები აქვთ (ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ჰოლანდიაში, ბრასს „რუსულ სტილსაც" ეძახიან). 100 მეტრზე ცურვაში მისივე ევროპული რეკორდი გააუმჯობესა 19 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა გალინა პროზუმენშჩიკოვამ. ახლა რეკორდი 1 წუთი და 15,4 წამია. ტალინში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 22 წლის ლენინგრადელმა ვ. კოსინსკიმ, რომელმაც 200 მეტრი 2 წუთსა და 27,4 წამში დაფარა. მან გააუმჯობესა ავსტრალიელ ი. ო'ბრაიენის მიერ ჯერ კიდევ ტოკიოს ოლიმპიადის სარბიელზე ნაჩვენები შედეგი.




კოსინსკი სპორტულმა სამყარომ მხოლოდ ამ ერთი წლის წინ გაიცნო. მაშინ საბჭოთა სპორტსმენმა გააუმჯობესა თანამემამულის, ევროპის ორგზის ჩემპიონის გ. პროკოპენკოს შედეგი და 100 მეტრი 1 წუთსა და 06,7 წამში დაფარა. კოსინსკი მეშახტეთა ქალაქ ვორკუტაში გაიზარდა. ცურვა მან ჩრდილოეთ დვინაზე ისწავლა, შემდეგ კი ქალაქის ახალგახსნილ აუზში ვარჯიშობდა.

ამ გაზაფხულს მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის 19 წლის სტუდენტმა ნ. პანკინმა კოსინსკის ჩამოართვა ერთი „მსოფლიო" ტიტული — 100 მეტრზე უსწრაფესი მოცურავის ტიტული. მსოფლიოს ახალი რეკორდსმენის შედეგია 1 წუთი და 06,2 წამი.

სამწუხაროდ, ჩვენ ტრადიციულად ჩამოვრჩებით გულაღმა და ბატერფლაით ცურვაში, ქალები კი თავისუფალი სტილით ცურვაშიც მოისუსტებენ.

ოლიმპიური სეზონის შეჯიბრებებში დამყარებულია 30-მდე საკავშირო რეკორდი, რომელთაგან სამი მსოფლიო და სამიც ევროპულ რეკორდებს აღემატება. საბჭოთა მოცურავეების პროგრესი აშკარაა, მაგრამ ჯერჯერობით მარცხიც ხშირია. ერთი სიტყვით, დამშვიდების საფუძველი არა გვაქვს.

**ვ. ხაჩატრიანი.**

* * *

**სურათზე:** ოლიმპიური ჩემპიონი 200 მეტრზე ბრასით ცურვაში გ. პროზუმენშჩიკოვა.

ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდეს).

---

**XIX** ოლიმპიადის დაწყებამდე რაც უფრო მცირე დრო რჩება, მით უფრო მატულობს მეხიკოს სტუმრების — სპორტსმენების, გუნდების მომსახურე პერსონალის, ტურისტების რიცხვი. ახლა ოლიმპიადის დედაქალაქში 5 ათასზე მეტი უცხოელია. ბრძოლების დაწყებამდე ისინი ეცნობიან ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ისტორიულ ადგილებს, ათვალიერებენ მუზეუმებს.

* * *

**სურათებზე:** მარცხნივ აღბეჭდილია ის მომენტი, როცა სსრ კავშირის რვიანის ეკიპაჟის მენიჩბე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. იუნკა მექსიკური სუვენირით — ყანწით დაინტერესდა. მარჯვენა **სურათზე** აღბეჭდილია ოლიმპიური სოფლის ერთი კუთხე.





---

◆ ფლაგსტაფი, 1 ოქტომბერი. აშშ-ს ამ ქალაქში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე 3 სპორტსმენმა — ჰ. შმიდკემ, ჰ. ვუხნერმა და ჩილიელმა ი. იორენომ 100 მ გაირბინეს ზუსტად 10 წამში. რ. ბოსტონმა სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 837 სმ, ეს შედეგი მართალია, მსოფლიო მიღწევას 2 სმ-ით აღემატება, მაგრამ იგი რეკორდად არ დამტკიცდება ბოსტონის ხტომისას ძლიერი ზურგქარის გამო.

◆ **ვიქტორია (კანადა), 1 ოქტომბერი. 20,4 წამი მოანდომეს 200 მეტრის გარბენას ამერიკელებმა ჯ. კარლოსმა, ლ. კვინტადმა და ე. რობერტსმა (ტრინიდადი და ტობაგო). მკერდით წინ იყო კარლოსი, რომელსაც პირველობა მიენიჭა კიდეც.**

◆ **ბუქარესტი, 1 ოქტომბერი.** რუმინეთისა და გდრ-ის მძლეოსანთა ასპარეზობაზე გერმანელმა სპორტსმენმა ქალმა ი. ფრიდრიჰმა ბირთვი ჰკრა 16,97 მეტრზე.

## დღეს სოსნოვეცში

პოლონეთის ამ ქალაქში დღეს გაიმართება საერთაშორისო საფეხბურთო მატჩი სსრ კავშირისა და პოლონეთის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის. ჩვენები უკვე ჩავიდნენ შეჯიბრების ადგილას.

სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში (უფროსი მწვრთნელი ა. პარამონოვი) შევიდნენ: ა. ტკაჩენკო (ლუგანსკის „ზარია"), ვ. კირიჩენკო (კიევის „დინამო"), ვ. ბასალაევი (მოსკოვის „ლოკომოტივი"), გ. ბულავინი (ლენინგრადის „ზენიტი"), ვ. ლისენკო (ოდესის „ჩერნომორეცი"), ვ. სმირნოვი (მოსკოვის „დინამო"), გ. იანეცი (მოსკოვის „ტორპედო"), მ. პლახეტკო, ვ. უტკინი (ორივე — ცსკა), ვ. გულიამხაიდაროვი (დუშანბეს „ენერგია"), ა. ჩუმაკოვი, გ. შალიმოვი, ვ. ნიკონოვი (ყველა — მოსკოვის „ტორპედო"), ვ. კოზლოვი (მოსკოვის „დინამო"), ქ. კაზარიანი (ერევნის „არარატი"), გ. გავაშელი (თბილისის „დინამო"), ა. სტეკოლნიკოვი (ბაქოს „ნეფტჩი").

## კისლოვოდსკის საერთაშორისო ფინიშის შემდეგ

**კისლოვოდსკში დამთავრებულ სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის საიუბილეო საერთაშორისო ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთია:**

**დიდოსტატი ე. გელერი — 10, დიდოსტატი ე. ვასიუკოვი, ოსტატი ბ. გურგენიძე — 9-9, დიდოსტატი ე. გუფელდი — 8,5, დიდოსტატი დ. ბრონშტეინი, საერთაშორისო ოსტატი ა. ხასინი — 8-8, საერთაშორისო ოსტატი ვ. ჩოკილტია (რუმინეთი), ოსტატი ფ. იგნატიევი — 7,5-7,5, ოსტატი მ. კნეჟევიჩი (იუგოსლავია), დიდოსტატი ლ. შამკოვიჩი — 7-7, უნგრეთის დიდოსტატი კ. ჰონფი — 6, საერთაშორისო ოსტატი ს. ნიკოლიჩი (იუგოსლავია) — 5,5, ოსტატი ჰ. რიცი (ჩეხოსლოვაკია) — 3,5, ოსტატი პ. ტრევი (ბულგარეთი) — 3 ქულა.**

**ტურნირში საერთაშორისო ოსტატობა მოიპოვეს ბ. გურგენიძემ და ფ. იგნატიევმა.**

## ჭადრაკი...

**დილით აშხაბადს გაფრინდნენ სსრ კავშირის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილენი— საერთაშორისო ოსტატები: საქართველოს ჩემპიონი ნ. ალექსანდრია, შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორი ა. ჩაიკოვსკაია, პირველთანრიგოსანი მ. სანაძე და მათი მწვრთნელები, ოსტატები ბ. გურგენიძე და რ. ჯინჯიხაშვილი. დღეს შედგება I ტური.**

მიმდინარეობს პროფკავშირების სპარტაკიადა

# „კოლხიდა“ საუკეთესო იყო

თბილისში დამთავრდა მანქანათმშენებლობის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სპარტაკიადა, რომლის ზოგიერთ შედეგზე უკვე ვწერდით. ახლა მკითხველებს გავაცნობთ კალათბურთელების, ძალოსნების, მოჭიდავეების, მაგიდის ჩოგბურთელების, ხელბურთელების, მოშაშეებისა და ველოსიპედისტთა ტურნირების შედეგებს.

კალათბურთში სპორტკლუბ „გამარჯვების“ ვაჟთა გუნდი ფინალში ეთამაშა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მთავარი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივს. ძნელი ბრძოლა მოიგო „გამარჯვებამ“ — 51:42. ამ კოლექტივის ქალთა გუნდმაც ისახელა თავი. მან ჯერ თბილისის 26 კომისრის მანქანათსაშენი ქარხნის გუნდს მოუგო (30:18), მერე რუსთავის ამწემშენებლებს (27:20), ბოლოს — თბილისის სახები ჩარხების ქარხნის გუნდს (22:19) და პირველობაც დაისაკუთრა.

ძალოსანთა ტურნირში „გამარჯვების“ ის გუნდიც გამოდიოდა, რომელმაც ამას წინათ სპორტკლუბების საკავშირო შეჯიბრებაში II ადგილი მოიპოვა. მოსალოდნელი იყო, რომ შედეგები მაღალი იქნებოდა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. უძლიერესებმა II და III თანრიგის შედეგები ძლივს აჩვენეს. მხოლოდ ერთი, ო. დემუროვი გახლდათ, რომელმაც პირველობა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივის ჩვენებით დაისაკუთრა. გუნდურ ჩათვლაში, რა თქმა უნდა, ყველას კიროველებმა აჯობეს.

ხელბურთში ქუთაისის სპორტკლუბ „კოლხიდის“ გუნდმა გადამწყვეტი ბრძოლა მოუგო „გამარჯვებას“ (14:9). ვაჟებშიც ისინი შეხვდნენ ერთმანეთს და უპირატესობა აქაც ქუთაისელთა მხარეს იყო — 22:6.

„გამარჯვების“ მოჭიდავეებმა არავის დაუთმეს უძლიერესის სახელი. ქართულ ჭიდაობაში პირად ასპარეზობაში ფალავნები გახდნენ: ჯ. ლომიძე, ნ. გაბოძე, გ. ბერიტაშვილი, ს. გაბიდაური, გ. ჩავარდაშვილი, ო. ორჯონიკიძე, ა. შაშვიაშვილი (ყველა — „გამარჯვება“). „კოლხიდის“ გუნდიდან ერთადერთი ნ. ბარათაშვილი გახლდათ, რომელმაც პირველობა დაიმსახურა.

მაგიდის ჩოგბურთელთა და მოშაშეთა ტურნირებმა 16-16 გუნდს მოუყარა თავი. ყველას „კოლხიდის“ ჩოგბურთელებმა და რუსთავის მოშაშეებმა აჯობეს. აღსანიშნავია, რომ შაშში რუსთავის ამწემშენებელთა და თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის გუნდების ფინალური მატჩი ფრედ (1,5:1,5) დამთავრდა. მაგრამ იმის გამო, რომ I დაფაზე რუსთაველმა ე. მოგილევსკიმ თბილისელ ა. ხაჩატურიანს მოუგო, გამარჯვებაც პირველის გუნდს მიეკუთვნა.

ველოსიპედისტთა ტურნირი თბილისის ზღვის მიდამოებში მოეწყო. 25-კილომეტრიანი წრე მონაწილეებმა ორჯერ გაიარეს. ფინიშის ხაზი პირველად „გამარჯვებამ“ გადაკვეთა — 1:16.11. ამ გუნდის წევრმა ს. გრიშკევიჩმა მოიგო 25 კმ-ზე ინდივიდუალური რბოლა — 39.15,0. ქალები 15 და 20 კმ-ზე ასპარეზობდნენ. პირველ დისტანციაზე ყველას აჯობა 18 წლის ქ. პუშკარმა („გამარჯვება“), მეორეზე — მისი გუნდი იყო საუკეთესო — 38.04,0.

სპარტაკიადა დამთავრდა. მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა თორმეტივე სახეობის შედეგი და საერთო ჩათვლაში ჩემპიონობა „კოლხიდას“ მიაკუთვნა — 19,5. „გამარჯვება“ მას ნახევარი ქულით ჩამორჩა. ფაქტიურად ეს ორი კოლექტივი იყო, რომელიც ღირსეულად იბრძოდა.

**ვ. ბუკინი.**

# მხოლოდ სამი კოლექტივი

მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის VII სპარტაკიადა ჭიათურაში გაიმართა. საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები იყვნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და ჭიათურის კოლექტივები.

კალათბურთელთა ტურნირის ყველაზე ელეგანტური მოთამაშე გახლდათ მასპინძელთა გუნდის 17 წლის წევრი ქეთინო ლოლაძე, რომელიც თავგამოდებით თამაშობდა და ზესტაფონელებთან (123:19) (!) გამარჯვებაში ყველაზე მეტი წვლილიც შეიტანა. შემდეგ ჭიათურელმა ქალებმა მოუგეს რუსთაველებს (51:17) და პირველობა დაისაკუთრეს. ვაჟებში ჩემპიონები გახდნენ რუსთავის სპორტსმენები, რომლებმაც გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხეს მასპინძლები — 60:48.

მძლეოსნები უხეიროდ მოწყობილ სექტორებზე ასპარეზობდნენ, და ამიტომ არც შედეგები იყო სახარბიელო. ფაქტად ის კმარა, თუ ვიტყვით, რომ ბევრი გამარჯვებული III თანრიგსაც ვერ შესწვდა. გუნდურ ჩათვლაში პირველობა რუსთავის კოლექტივს ხვდა.

მოცურავეთა შეჯიბრებაში რუსთაველები ითვლებოდნენ ფავორიტებად, მაგრამ მასპინძლებთან დამარცხდნენ. ჭიათურელები პირველ დღეს მხოლოდ 1 ქულით იგებდნენ, სამაგიეროდ, მეორე დღეს კიდევ 220 ქულით მეტი მოაგროვეს.

ჭადრაკსა და შაშში რუსთაველებმა იმარჯვეს. აღსანიშნავია, რომ ორივე ტურნირში მონაწილეობდა შაშში რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი თ. ბარამიძე.

ხელბურთელ ქალთა ასპარეზობაში გამარჯვებულის გამოსავლენად საკმარისი აღმოჩნდა ერთი მატჩი. სარბიელზე გამოვიდნენ მხოლოდ ჭიათურისა და რუსთავის გუნდები. ორთაბრძოლა რუსთაველების უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 23:11. ვაჟთა შეჯიბრებაში ზესტაფონელებმა ჯერ რუსთაველები დაამარცხეს (39:35), შემდეგ ჭიათურელები (43:35).

მაგიდის ჩოგბურთელთა პირადი პირველობა მოიგეს ჭიათურელებმა მანანა მუმლაძემ და რ. გველესიანმა. გუნდურ ჩათვლაში ყველას რუსთავის კოლექტივმა აჯობა.

უხეირო შედეგები ჰქონდათ ძალოსნებს. ჭიათურისა და რუსთავის კოლექტივებმა 13-13 ქულა დააგროვეს და I-II ადგილები გაიყვეს. დამაკმაყოფილებლად მხოლოდ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მგლინავის გ. კასრელიშვილის (ქვემსუბუქი წონა) მაჩვენებელი (275 კგ) შეიძლება ჩაითვალოს.

ფრენბურთში ჩემპიონობა მოიპოვეს რუსთაველმა ქალებმა და ვაჟებმა, ქართულ ჭიდაობაში — მასპინძლებმა. აქ წონითი კატეგორიების მიხედვით პირველნი იყვნენ: კ. ნახუცრიშვილი (ზესტაფონი), მ. კანთელაშვილი (რუსთავი), ა. ჯიქურიძე (ჭიათურა), გ. ანდრიაძე (რუსთავი), ბ. ზარნაძე (ზესტაფონი), გ. შეყილაძე, რ. ბრეგვაძე, ა. ჩინჩალაძე (ყველანი — ჭიათურა).

სპარტაკიადის დამამთავრებელი სახეობა ფეხბურთი იყო. 3 გუნდს შორის ტურნირი ოლიმპიური სისტემით (?!) ჩატარდა. ფინალმა ერთმანეთს შეახვედრა ზესტაფონის „მეტალურგი“ და ჭიათურის კოლექტივი. გაიმარჯვეს სტუმრებმა 1:0.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა რუსთავის ნაკრები — 20,5 საჯარიმო ქულა. ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ წარმომადგენლებმა 27,5 ქულა დააგროვეს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტსმენებმა — 40.

სპარტაკიადამ ცხადყო, რომ მეტალურგიული მრეწველობის ფიზკულტურულ კოლექტივებში ყველა სახეობის სათანადოდ განვითარებისთვის არ ზრუნავენ. 370 მონაწილიდან მარტო 5 სპორტსმენმა აჩვენა II თანრიგის შედეგი და 27-მა — III თანრიგისა. შეჯიბრებაზე რატომღაც არ გამოცხადდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის კოლექტივი. გაოცებას იწვევენ ზესტაფონის გუნდები: კალათბურთელი ქალები პირველი დამარცხებისთანავე გაიქცნენ ასპარეზობიდან, მოცურავეები ძლივს ამთავრებდნენ დისტანციას, ძალოსნები ტურნირზე ჩამოვიდნენ მაშინ, როცა შეჯიბრება უკვე დამთავრებული იყო, ზესტაფონელი ფეხბურთელი გ. მიხელაშვილი მსაჯმა მინდვრიდან გააძევა უხეშობისთვის... საოცრად უსუსური იყო ჭიათურელ ფრენბურთელთა ტექნიკა.

**თ. შეყილაძე,**
**ვ. ბუკია.**

პრობლემები, გამოკვლევები, ძიებანი

# ზ. მაუდამ სასურველი

1904 წლის შემოდგომაზე პარიზში ანდრია დადიანმა მიიღო ბარმენის საჭადრაკო კლუბის მესვეურთა წერილი, რომელშიც მას ხაიუბილეო კონგრესზე იწვევდნენ. ძველი გერმანული ქალაქის მოჭადრაკეები თავიანთი კლუბის დაარსების 40 წლისთავის საზეიმო აღნიშვნისთვის ემზადებოდნენ.

ქართველი მოჭადრაკე ჩავიდა ბარმენს, სადაც ბევრ მეგობარსა და ცნობილ მოჭადრაკეს შეხვდა. როგორც ჩანს, კონგრესზე გადაწყდა მრავალი ტურნირის გამართვა.

1905 წლის მაისში ა. დადიანმა, რომელიც ამ დროს ოდესაში ცხოვრობდა, იუბილეს საორგანიზაციო კომიტეტისგან მიიღო თხოვნა ყოფილიყო ბარმენის საჭადრაკო ტურნირების საპატიო პრეზიდენტი. წერილში აღნიშნული იყო, რომ მონაწილეთა შორის იქნებიან ცნობილი მოჭადრაკეები გ. მაროცი, მ. ჩიგორინი, ჟ. მიზესი, ო. ბერნშტეინი, ს. ალაპინი, ე. ბარდელებენი და სხვ.

დადიანი დათანხმდა. ბარმენის ტურნირები ჭადრაკის ისტორიაში შევიდა, როგორც დიდი მნიშვნელობის შეჯიბრებები. საქმე ისაა, რომ სწორედ ბარმენის სათადარიგო ტურნირებში გამოვლინდნენ ახალგაზრდა მოჭადრაკეები რ. შპილმანი (ავსტრია), ო. დურასი (ჩეხოსლოვაკია), ა. რუბინშტეინი, ა. ნიმცოვიჩი (ორივე — რუსეთი), მ. ვიდმარი (იუგოსლავია) და ს. ტარტაკოვერი (საფრანგეთი), რომლებიც შემდგომ გამოჩენილი დიდოსტატები გახდნენ.

იმ ტურნირებში, რომელთაც პრეზიდენტობდა, დადიანს წესად ჰქონდა, ლამაზად გათამაშებული პარტიებისთვის ფულადი ჯილდოს დანიშვნა. სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ, როგორი პრიზი დააწესა მან ბარმენში და ვის ხვდა იგი.

დადიანის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი იყო გამოჩენილი ფრანგი ოსტატი არნუ დე რივიერა, რომელსაც, სხვათა შორის, თვით გენიალურ ამერიკელ მოჭადრაკესთან პ. მორფისთან უთამაშია. სწორედ ამ ფრანგი მეგობრის თხოვნით, ქართველმა მოჭადრაკემ მეურვეობა გაუწია მონტე-კარლოს 1903 და 1904 წლების ტურნირებს. მან საგანგებო ჯილდოებიც დააწესა ლამაზი თამაშისთვის.

ადრეც, 1902 წელს დადიანმა თავს იდო მიწერ-მოწერით თამაშში დიდი საერთაშორისო ტურნირის მფარველობა. ეს შეჯიბრება ცნობილმა ჩეხოსლოვაკიელმა საჭადრაკო მოღვაწემ კ. ბაუმჰარტლმა მოაწყო. ჟურნალი „შახმატნოე ობოზრენიე“ (1902 წ.) წერს, რომ დადიანმა საუკეთესო პარტიისთვის ჯილდოდ 200 ფრანკი გაიღო.

ქართველ მოჭადრაკეს ღრმად ესმოდა ჭადრაკი და თავდავიწყებამდე უყვარდა იგი. მას ხიბლავდა ლამაზი კომბინაცია, მახვილი აზრი და მძაფრი ბრძოლა. ამიტომაც ასეთი პარტიების შემქმნელ მოჭადრაკეთათვის ჯილდოდ დიდ თანხასაც კი არ იშურებდა.

მონტე-კარლოს 1903 წლის ტურნირში დადიანმა ლამაზი თამაშისთვის ორი ჯილდო დააწესა, თვითეული 250 ფრანკის რაოდენობით. ერთ-ერთი ჯილდო ხვდა გერმანელ მოჭადრაკეს ჟ. მიზესს, რომელმაც ბრწყინვალე სტილში მოუგო გამოჩენილ ამერიკელ დიდოსტატს ფ. მარშალს. ჟიურში, რომელმაც ჯილდო მიანიჭა, დადიანიც შედიოდა. ამ პარტიამ საჭადრაკო საზოგადოებრიობის საერთო მოწონება დაიმსახურა. იგი ბევრ ჟურნალსა და წიგნში დაისტამბა.

აი, ეს პარტია:

**მიზესი — მარშალი**

**ჩრდილოეთის გამბიტი**

1. e4 e5 2. d4 ed 3. c3 dc 4. კc4 cb 5. კ:b2 d6 6. მe2 მc6 7. 0—0 კe6 8. კd5.

კარგი სვლა. ამ კუს აყვანის შემთხვევაში, თეთრები იერიშს მიიღებენ e ვერტიკალზე.

8. ... მf6 9. ლb3 ლc8 10. მf4 მd8.

დიდოსტატ ზ. ტარაშის აზრით, აქ უკეთესი იყო 10. ... კ:d5 11. ed და ნადავლის უკან დაბრუნება: 11. ... მe5 12. ეe1 კe7 13. კ:e5 de 14. ე:e5 ლd7 და როქის შემდეგ, შავებს უკეთესი თამაში ექნებათ.

ახლა მიზესი მძლავრ იერიშს ავითარებს.

11. კ:f6 gf 12. მh5 c6 13. ეe1 კe7 14. ლf3 ეg8

თეთრები: 14. ... cd 15. ed კd7 შემდეგ იგებდნენ 16. ლ:f6-ით.

15. მ:f6+ კ:f6 16. ლ:f6 cd 17. ed ეg6 18. ლh8+ მფd7 19. მc3 კ:d5.

ეს აჩქარებს წაგებას. სწორი გახლდათ 19. ... მc6. „ახლა, — წერს ტარაში თავის წიგნში „თანამედროვე საჭადრაკო პარტია“ (1912 წ.), — თამაში საოცარი ფინალით მთავრდება“.



20. ლe8+ მფc7 21. მ:d5+ მფb8 22. ეac1 მc6 23. ე:c6 bc 24. ეb1×.

დადიანის ხელგაშლილ მეცენატობაზე ასეთი საგულისხმო ფაქტიც მეტყველებს: ლამაზი პარტიების ავტორთა დასაჯილდოებლად მონტე-კარლოს 1904 წლის ტურნირის ფონდში ცნობილმა ფრანგმა მილიონერმა ე. როტშილდმა 500 ფრანკი შეიტანა, ქართველმა მოჭადრაკემ კი — 600 ფრანკი (ჟურნალ „ნივას“ ლიტერატურული დამატება, 1903 წ.).

დიდი ტურნირების მფარველობას დადიანი კიდევ იმიტომ თანხმდებოდა, რომ ცნობილ ოსტატებთან პაექრობის კარგი შესაძლებლობა ეძლეოდა. მისთვის ჭადრაკის თამაში დაუოკებელ მოთხოვნილებად იქცა. მას, როგორც მაღალი წოდების სამხედრო პირს, არ შეეძლო ოფიციალურ ტურნირებში გამოსვლა, ამიტომ ახარებდა მეგობრული შეხვედრები ღირსეულ მეტოქეებთან.

დადიანი ყველა ტურნირის სასურველი სტუმარი გახლდათ. ორგანიზატორებს ხიბლავდა მისი დიდი საჭადრაკო ერუდიცია, დიდი განათლება (ანდრია ექვს ევროპულ ენაზე ლაპარაკობდა), დარბაისლობა და რა თქმა უნდა, ხელგაშლილობა. იმ დროის დიდ საჭადრაკო ტურნირებსაც კი ცოტა მფარველი და მაყურებელი ჰყავდა. ამიტომ თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ დადიანი მშვენება იყო ყველა იმ ტურნირისა, რომლის მეურვეობასაც იგი ითავებდა.

**თ. გიორგაძე.**



ესაა ა. დადიანის ნაქონი ჭადრაკი და მაგიდა, რომლებიც ზუგდიდის მუზეუმში ინახება. ჭადრაკის სპილოს ძვლის ფიგურები „სტაუნტონის სტილშია“ გამოკვეთილი. ამ სტილის ფიგურები ახლაც დიდი მოწონებით სარგებლობენ. სამწუხაროდ, ჭადრაკის კომპლექტს ერთი შავი მხედარი აკლია.

**ზუგდიდის მუზეუმის მასალების მიხედვით**

# ამოქმედდა...

გორის მე-9 სამშენებლო ტრესტის ფიზკულტურული კოლექტივი ცუდად მუშაობდა: 250-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი მოკლებული იყო ხელმძღვანელობას. დირექციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ჯეროვნად შეაფასეს მდგომარეობა და აპრილში სამუშაოდან დაითხოვეს მეთოდისტი ა. პაპიტაშვილი. მისი მოვალეობა დაეკისრა გორის პედინსტიტუტის კურსდამთავრებულს, სპორტის ოსტატს ს. ბურჯანაძეს, რომელმაც ირგვლივ შემოიკრიბა ფიზკულტურული აქტივი. ამოქმედდნენ აქამდე ქაღალდზე არსებული სექციები.

ივნისში ტრესტის ხელბურთელები წარმატებით გამოვიდნენ „განთიადის“ საქალაქო სპარტაკიადაში — შარშანწინ მოპოვებული გარდამავალი თასი დაიბრუნეს, მაგრამ თასის შარშანდელ მფლობელს — ბამბეულის კომბინატს რატომღაც დღემდე არ ჩაუბარებია ეს პრიზი მშენებლებისთვის.

სპარტაკიადაში მსროლელებიც არ გამოსულან უხეიროდ, მხოლოდ ფეიქრებთან დამარცხდნენ და II ადგილი მოიპოვეს. მაგიდის ჩოგბურთელები III ადგილზე გავიდნენ...

ამას წინათ გამართულ მაგიდის ჩოგბურთელთა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებაში პირველობა საწარმოო მეურნეობის კომბინატის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს, შაშში და ჭადრაკში — ადმინისტრაციული აპარატის წარმომადგენლებმა. ტრესტში სხვა მასობრივ ღონისძიებებსაც დიდი ყურადღება ეთმობა. საინტერესო იყო მრავალდღიანი ტურისტული ლაშქრობა გორი — ცხინვალი — ჯავა — როკინარი — ზარამაკი — ბურონი — ცეი — ალაგირი — ორჯონიკიძე — გორი, რომელშიც 10 კაცი მონაწილეობდა.

— რა მდგომარეობა გაქვთ თანრიგოსანთა მომზადების გეგმის შესრულებაში? — ვეკითხებით მეთოდისტს ს. ბურჯანაძეს.

— არც თუ ისე სახარბიელო, მაგრამ წლის ბოლომდე ყველაფერს მოვასწრებთ. დიდ იმედებს ვამყარებთ შიდასაკოლექტივო და „განთიადის“ საქალაქო საბჭოს სპარტაკიადებზე. საქალაქო ტურნირში გუნდებს გამოვიყვანთ სპორტის 7 სახეობაში.

**ი. თევდორაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

გორი.

MEXICO · 1968 · MEXICO · XIX · MEXICO · 1968

## ოლიმპიადის გახსნამდე დარჩა 10 დღე




# საბჭოთა მუშკეტერები

სპეციალისტების ერთსულოვანი აზრით, საბჭოთა მოფარიკავეებმა მომავალ ოლიმპიადაში გუნდური პირველობა უნდა დაისაკუთრონ. ამ პროგნოზებს (თუმცა პროგნოზები სპორტში არც ისე ხშირად სრულდება) საფუძველი აქვს. საბჭოთა მუშკეტერებმა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში (მოსკოვი), რვიდან ხუთი ოქროს მედალი დაისაკუთრეს, მონრეალის შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში კი ექვსი. ასეთი რამ არ ახსოვს ფარიკაობის, ამ უძველესი სახეობის ისტორიას. საბჭოთა ოლიმპიური გუნდის 20 წევრიდან 17 მოფარიკავე მსოფლიო და ოლიმპიადების ოქროს მედლების მფლობელია (პირადი ან გუნდური გამარჯვებებისათვის).

ჯერ კიდევ 50-ანი წლების დამდეგს საბჭოთა მოფარიკავეები საერთაშორისო სარბიელზე არ ჩანდნენ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ამ სახეობაში გამარჯვების უფლება სამუდამოდ დაისაკუთრეს ფარიკაობის კლასიკური სკოლის შემქმნელებმა; ფრანგებმა და იტალიელებმა რაპირებითა და დაშნებით, უნგრელებმა და პოლონელებმა — ესპადრონებით. ბევრ ქვეყანაში მწვრთნელებადაც კი მხოლოდ მათ იწვევდნენ.

და აი, საბჭოთა მოფარიკავეებმა უეცრად „ძალა მოიკრიბეს“ და ახლა მათ მრავალი ქვეყნის მუშკეტერები ბაძავენ. მათ ათლეტიზმი და გამარჯვების დაუოკებელი სურვილი შემატეს ფარიკაობას (რაც ადრე არისტოკრატების პრივილეგიად ითვლებოდა).

ახალი მეცნიერული მონაცემების საფუძველზე ძალიან შეიცვალა წვრთნის მეთოდიკაც და შეიქმნა ასპარეზობის ახალი სისტემა. საბჭოთა ფარიკაობას, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია, ახლა ფართო გეოგრაფია აქვს, ეს კი კარგ რეზერვს განაპირობებს.

სსრ კავშირის მოფარიკავეთა ნაკრებში შედიან არა მხოლოდ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, თბილისის, რიგის, ტალინის, არამედ დონეცკის, ვორონეჟის, გორკის, სარატოვის, მახაჩყალის, გროზნოსა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები. ფარიკაობა უკვე ათენის პირველი ოლიმპიური თამაშების (1896 წ.) პროგრამაში შეიტანეს და მას შემდეგ მუშკეტერები ოლიმპიადების მუდმივი მონაწილენი არიან.

მაგრამ მართლა ასე თანადროულია თუ არა რაკეტებისა და კოსმოსის დაპყრობის ეპოქაში ბლაგვწვერა ფოლადის მახვილებით ბრძოლა? ხომ არ განელდა აზარტი, რომელიც ადრე ახლდა ხოლმე სასიკვდილო დუელს? არა, აზარტი არ შენელებულა. სპორტული ფარიკაობა იზიდავს ახალგაზრდობას, ფოლადის მახვილი ძველებურად აწრთობს სიმამაცეს და ვაჟკაცობას.



საბჭოთა მოფარიკავეები ოლიმპიადებში 1952 წლიდან გამოდიან. მაშინ, ჰელსინკში, ისინი უმედლებოდ დარჩნენ. 1956 წლის მელბურნის ოლიმპიადაში საბჭოთა ესპადრონისტთა გუნდმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, ლევ კუზნეცოვმა კი პირად შეჯიბრებაში გაიმარჯვა. შემდეგ დიდ წარმატებათა ხანაც დადგა. საბჭოთა რაპირისტ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა გაიმარჯვეს 1960 წლის ოლიმპიადაში. ვაჟებმა 1964 წელსაც იმარჯვეს. „ოქროს გამარჯვება“ მათთან ერთად გაიყვეს ესპადრონისტებმაც. პირად შეჯიბრებაში ოლიმპიადების ჩემპიონობა მოიპოვეს ლენინგრადელმა ვ. ჟდანოვიჩმა (რაპირა, 1960 წელი) და კიეველმა გ. კრისმა (დაშნა, 1964 წ.).

სსრ კავშირის მოფარიკავეთა ახლანდელ ოლიმპიურ ნაკრებში არიან ბოლო წლების მსოფლიო ჩემპიონები, მოსკოველები ა. ზაბელინა და გ. გოროხოვა, მინსკელი ტ. სამუსენკო, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები — გორკელი გ. სვეშნიკოვი (რაპირა) და მინსკელი ა. ნიკანჩიკოვი (დაშნა), მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონები — კიეველი ვ. პუტიატინი (რაპირა) და მ. რაკიტა (მოსკოვის ოლქი, ესპადრონი). მათგან ყველას შეუძლია მოიპოვოს ახალი ოლიმპიადის ჩემპიონობა. ახალგაზრდების ჯგუფიდან გამოვყოფდით მინსკელ ე. ნოვიკოვას, მახაჩყალელ ვ. ნაზლიმოვს, ვორონეჟელ ვ. მოძოლევსკის.

რა თქმა უნდა, მეხიკოში ოქროს მედლებს უბრძოლველად არავინ დათმობს. ახლა ჩინებული მოფარიკავეები არიან საფრანგეთსა და იტალიაში, პოლონეთსა და უნგრეთში, რუმინეთსა და შვეციაში, ინგლისსა და გდრ-ში, იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

როგორც მსოფლიო ჩემპიონატებში, მოფარიკავეთა შეჯიბრება ოლიმპიურ სარბიელზე რვა სახეობაში ტარდება. გუნდური და პირადი შეხვედრები რაპირებით (ქალები და ვაჟები), დაშნებითა და ესპადრონებით (ვაჟები).

**ა. ერმაკოვი.**

* * *

**სურათზე:** სსრ კავშირის მოფარიკავეთა ოლიმპიური ნაკრების წევრი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის 1968 წლის ჩემპიონი ესპადრონით ფარიკაობაში, 1967 წლის მსოფლიო ჩემპიონი მარკ რაკიტა (საბჭოთა არმია, მოსკოვის ოლქი).

ფოტო ო. კოსკისა (საკდესი).

## ფავორიტები





ამ ბოლო ხანს მსოფლიოში ვერც ერთი მოცურავე ქალი ვერ დაიქადნის ისეთ წარმატებას, როგორიც ამერიკელ დები მაიერს ხვდა წილად. სარბიელზე ყოველი მისი გამოსვლა მაყურებლისთვის სასიამოვნო სიურპრიზით მთავრდება. მაიერი შეუდარებელია 800 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

ს უ რ ა თ ზ ე თქვენ ხედავთ დები მაიერს (წინა პლანზე), ხოლო მეორე სპორტსმენი მისი მუდმივი მეტოქე ავსტრალიელი კატრინ ვაინვრიჰტია.

საბჭოთა ხუთჭიდელი ხ. შაპარნისი (მარცხენა სურათზე) შესანიშნავი სპორტსმენის იგორ ნოვიკოვის ღირსეული მემკვიდრეა. სარბიელიდან ნოვიკოვის წასვლის შემდეგ გამოჩნდნენ ნიჭიერი ხუთჭიდელები — ბ. ონიშჩენკო, პ. ლედნიოვი და სხვები, რომლებიც ცდილობენ დაიბრუნონ დაკარგული დიდება ამ სახეობაში. შაპარნისის როლი ამ მძაფრ ბრძოლაში ჩვენს ძირითად მეტოქეებთან — უნგრელებთან, განსაკუთრებულია. მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში შაპარნისი II ადგილზე გავიდა უნგრელ ა. ბალცოს შემდეგ. თვით უნგრელის აღიარებით, შაპარნისი მეხიკოში გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი იქნება.



ვერა ჩასლავსკას დახვეწილ ოსტატობას არაერთხელ მოუხიბლავს სპორტის მოყვარულები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. იგი თავისი გუნდის სული და გულია და მის მაგალითზე არაერთი და ორი ნიჭიერი სპორტსმენი აღზრდილა ჩეხოსლოვაკიაში. მეხიკოში საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ტანმოვარჯიშეების ასპარეზობა საინტერესო ბრძოლას გვპირდება. ს უ რ ა თ ზ ე თქვენ ხედავთ ჩეხოსლოვაკიის ნაკრების წევრებს (მარცხნიდან)—ბ. რიმნაჩევა, ჰ. ვორლიჩკოვა, ჰ. ლიჩკოვა, ჰ. კუბიჩკოვა, ე. სვეტლიჩკოვა, მ. კრაიჩიროვა, ი. სედლაჩკოვა, ვ. ჩასლავსკა და ჰ. კოშტიალოვა.

**მეხიკო, 1 ოქტომბერი.** სახელგანთქმულმა ტუნისელმა სტაიერმა მ. გამუდიმ განაცხადა, რომ ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებს 5 და 10 კილომეტრზე რბენაში, შესაძლოა მარათონშიც. იგი თვლის, რომ გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი 10.000 მეტრზე რბენაში აქვს. მან ხომ ტოკიოს თამაშებში მძლეოსნობის ამ სახეობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. „თავს ვგრძნობ უფრო უკეთ, ვიდრე ტოკიოს ბატალიების დროს“, — თქვა გამუდიმ.

**ტოკიო,** 1 ოქტომბერი. ქვემსუბუქი წონის ძალოსნების შეჯიბრებაში იაპონიის სპორტულ ღირსებას დაიცავს ორი ძმა მიაკე — 28 წლის იოსინობუ — მსოფლიოს რეკორდსმენი და ტოკიოს თამაშების ჩემპიონი და 22 წლის იოსიუკი. სახელგანთქმულმა ათლეტმა განაცხადა, რომ უმცროს ძმას შეუძლია არა მარტო იბრძოლოს ჩემპიონის ოქროს მედლისთვის, არამედ გააუმჯობესოს მსოფლიო რეკორდი სამჭიდში — 397,5 კგ.

## მეხიკოს სიახლეები

**ჰელსინკი,** 1 ოქტომბერი. ფინელი მორბენალი ი. კუხა, რომელიც ამას წინათ მსოფლიო რეკორდსმენი გახდა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, არ ჩარიცხეს ფინეთის ოლიმპიურ გუნდში. ეს გამოიწვია სპორტსმენის უთანხმოებამ ფინეთის მძლეოსანთა მწვრთნელებთან მზადების მეთოდიკის საკითხებში.

**ბუდაპეშტი,** 1 ოქტომბერი. აქედან მეხიკოს გაემგზავრა უნგრეთის ოლიმპიური გუნდის ბოლო ჯგუფი, რომელშიც 178 სპორტსმენი იყო. გამგზავრების წინ მსოფლიო რეკორდსმენმა უროს ტყორცნაში დ. ჟივოცკიმ განაცხადა, რომ თავის მთავარ კონკურენტად თვლის საბჭოთა სპორტსმენს რ. კლიმს.

## სსრ კავშირის პირველობა

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

ვედრაში სპარტაკელები დაწინაურდნენ უკვე მე-15 წუთზე, როცა იანკინმა თავით გაიტანა ბურთი „[illegible]ს“ კარში. ცოტა ხნის შემდეგ დინამოელმა ეინულაევმა შეძლო თანაფარდობის აღდგენა — 1:1. ტაიმის დამთავრებამდე მოსკოველთა კაპიტანმა ჩუხაინოვმა გვერდი აუარა სტუმართა მეკარეს და დაარტყა კარში. კიროვაბადელთა ერთ-ერთმა მცველმა მარცხიანად ითამაშა და ბურთი საკუთარ კარში ჩაგრა — 2:1.

„ა“ კლასის უმაღლეს ლიგაში საუკეთესო სნაიპერთა შორის ხადლეისოდ კვლავ წინაა მოსკოვის „ტორპედოს“ ცენტრალური თავდამსხმელი ე. სტრელცოვი, რომელმაც მოწინააღმდეგეთა კარში 16 გოლი გაიტანა.

### ფაქტები, გოლები, კურიოზები

მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ბაქოს „ნეფტჩის“ მატჩში გოლები ასეთი თანმიმდევრობით იქნა გატანილი: ანგარიში გახსნა ლოკომოტიველმა შელუდკომ, ხოლო „ნეფტჩის“ თავდამსხმელმა სმოლნიკოვმა მეორე ტაიმში გაათანაბრა იგი — 1:1. ამ მატჩში მინდვრიდან გააძევეს მოსკოველი ჟიტკუსი.

მოსკოვის „სპარტაკისა“ და კიროვაბადის „დინამოს“ შეხ-

### „ა“ კლასი I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი
#### ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 2 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 30 | 18 | 10 | 2 | 48—19 | 46 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 30 | 18 | 6 | 6 | 50—32 | 42 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 29 | 14 | 10 | 5 | 45—23 | 38 |
| ცსკა | 30 | 14 | 9 | 7 | 37—26 | 37 |
| „დინამო“ (თბილისი) | 30 | 13 | 10 | 7 | 37—18 | 36 |
| „დინამო“ (მინსკი) | 28 | 13 | 9 | 6 | 31—21 | 35 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 30 | 13 | 8 | 9 | 42—29 | 34 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 29 | 10 | 12 | 7 | 40—35 | 32 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 30 | 10 | 12 | 8 | 29—29 | 32 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 30 | 8 | 13 | 9 | 28—39 | 29 |
| ასკ (როსტოვი) | 30 | 9 | 10 | 11 | 36—38 | 28 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 31 | 9 | 10 | 12 | 19—33 | 28 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 30 | 8 | 11 | 11 | 29—31 | 27 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 30 | 8 | 9 | 13 | 19—27 | 25 |
| „ნეფტჩი“ (ბაქო) | 30 | 8 | 9 | 13 | 30—41 | 25 |
| „არარატი“ (ერევანი) | 30 | 9 | 6 | 15 | 27—38 | 24 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 31 | 7 | 8 | 16 | 25—38 | 22 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 30 | 6 | 8 | 16 | 18—35 | 20 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 30 | 5 | 9 | 16 | 19—34 | 19 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 30 | 6 | 7 | 17 | 29—52 | 19 |

## განა ეს ის „ტრაქტორია“?

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 30 სექტემბერი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი)—„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 2:1 (0:0).

„ლოკომოტივი“: ბერიძე, მირიანაშვილი, პანოვი, ფრიდმანი, გეგეჭკორი, ძაგანია, შხვაცაბაია, მაზიაშვილი, ხუციშვილი, მესხაძე, მელიქიძე (ბახტაძე).

„ტრაქტორი“: ნეხაი, იანიხი, ციცენკო, დერგაჩი, კოტოპული, ჯანშიევი, კირილოვი, გოლოვკო, პოგორელოვი (ზოლენკო), შერშნევი (ვტოურინი), ყაროვი.

მსაჯი ნ. შიშოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:2.

დამთავრდა პირველი ტაიმი და ტრიბუნაზე მსხდომ სპეციალისტთა ჯგუფში ერთ-ერთმა სინანულით წარმოთქვა: „განა ესაა ვოლგოგრადის „ტრაქტორი“?.

ეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ თქვა. ვის — ვის და მას აქვს უფლება გაიხსენოს ძველი „ტრაქტორი“, ძალზე საინტერესო, ორიგინალური ხელწერის გუნდი, სადაც თამაშობდნენ პირველხარისხოვანი ფეხბურთელები პონომარიოვი, პროვორნოვი, ერმასოვი, პროცენკო...

ძნელია არ დაეთანხმო ვეტერანს. ვოლგოგრადის ახლანდელი გუნდი ძველის აჩრდილიც არაა. მის თამაშში ორიგინალობის ნატამალიც ვერ ვნახეთ და მოთამაშეთაგან თუ ვინმეს გამოჰყოფ, ისევ ნახევარმცველ ჯანშიევს, რომელიც თბილისელია და აქა აქვს ბურთის თამაში ნასწავლი. დანარჩენები — საშუალო ხარისხის განურჩეველი ფონია, რომელთაგანაც ძალიან რომ გინდოდეს, ვერ შეაქებ ვერც ერთს.

აი, სწორედ ამ საშუალო გუნდთან აქვს თბილისის „ლოკომოტივს“ წლევანდელ სეზონში განცდილი 2 მარცხი. „ტრაქტორმა“ ლოკომოტიველები ჯერ თასის გათამაშებაში დაამარცხა ანგარიშით 2:0, ხოლო შემდეგ, I წრის კალენდარულ მატჩში ზუსტად იმავე ანგარიშით გაიმარჯვა.

ასე რომ, „ლოკომოტივი“ სარევანშოდ იბრძოდა თავის მინდორზე ვოლგოგრადის გუნდთან და ნაწილობრივ მაინც უნდა აენაზღაურებინა თავისი დანაკარგი. მდგომარეობას ამწვავებდა ისიც, რომ „ტრაქტორი“ სატურნირო ცხრილში რკინიგზელებზე წინ იყო 1 ქულით.

რევანში მხოლოდ მეორე ტაიმში შედგა. უკვე პირველივე წუთზე ნეხაის ძალზე ძნელი ბურთის აღება მოუხდა მაზიაშვილისგან, მალე კი „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი იერიშისას ხუციშვილმა მოულოდნელად, მოტრიალებით დაარტყა კარში — 1:0.

მე-18 წუთზე სტუმრებმა შეძლეს თანაბრობის აღდგენა. თბილისელთა დაცვაში დაშვებული შეცდომის შემდეგ ბურთი მოხვდა ზოლენკოსთან და მან ახლო მანძილიდან გაგზავნა იგი ბადეში — 1:1.

რკინიგზელებს სულ მცირე დრო დასჭირდათ ხელახალი დაწინაურებისთვის. დერგაჩმა და ნეხაიმ ვერ გაუგეს ერთმანეთს სრულიად ელემენტარულ პოზიციაში, ამ კრიტიკულ ვითარებაში ორიენტაციის კარგი გრძნობა გამოავლინა მაზიაშვილმა, რომელმაც ზუსტად გაიტანა მეორე ბურთი „ტრაქტორის“ კარში — 2:1.

სტუმრები თავგამოდებით იბრძოდნენ ქულის გადასარჩენად. იყო მომენტი, როცა ყაროვი პირისპირ აღმოჩნდა ბერიძესთან, მაგრამ მეკარემ ფეხით მოასწრო ბურთის მოგერიება და „ლოკომოტივმა“ გაჭირვებით შეინარჩუნა გამარჯვება.

**რ. ქორიძე.**

### „ა“ კლასი II ჯგუფი

### სხვა შეხვედრები

შედგა მორიგი ტურის შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

ტყიბულის „მეშახტემ“ საკუთარ მინდორზე ფრედ — 0:0 ითამაშა ლენინაკანის „შირაკთან“.

დანარჩენ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: „ტორპედო“ (ტაგანროგი) — „ვოლგა“ (გორკი) — 1:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „რუბინი“ (ყაზანი) 1:0, „თერგი“ (გროზნო) — „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) 1:1, „დინამო“ (მახაჩყალა) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი) 2:0, „ფოლადი“ (სუმგაითი) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 1:0, „ზენიტი“ (იჟევსკი) — „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) 0:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) 1:0.

აღსანიშნავია უფის „სტროიტელის“ გამარჯვება გათამაშების ლიდერ სვერდლოვსკის „ურალმაშთან“ — 2:1.

### გათამაშების ცხრილი
#### III ქვეჯგუფი
მდგომარეობა 2 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 32 | 19 | 9 | 4 | 47—16 | 47 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 32 | 14 | 15 | 3 | 25—10 | 43 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 32 | 15 | 10 | 7 | 46—28 | 40 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 32 | 15 | 9 | 8 | 42—24 | 39 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 31 | 15 | 8 | 8 | 42—26 | 38 |
| „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) | 32 | 11 | 14 | 7 | 34—26 | 36 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 32 | 11 | 11 | 10 | 34—28 | 33 |
| „ზენიტი“ (იჟევსკი) | 33 | 11 | 11 | 11 | 29—33 | 33 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 33 | 10 | 13 | 10 | 25—30 | 33 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 32 | 10 | 12 | 10 | 33—29 | 32 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 33 | 11 | 9 | 13 | 33—38 | 31 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 31 | 11 | 8 | 12 | 24—31 | 30 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 32 | 9 | 11 | 12 | 37—32 | 29 |
| „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) | 32 | 8 | 13 | 11 | 27—27 | 29 |
| „ვოლგა“ (ულიანოვსკი) | 33 | 11 | 7 | 15 | 34—48 | 29 |
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 32 | 9 | 10 | 13 | 25—34 | 28 |
| „სტროიტელი“ (უფა) | 33 | 9 | 10 | 14 | 34—44 | 28 |
| „თერგი“ (გროზნო) | 32 | 7 | 12 | 13 | 38—44 | 26 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 33 | 4 | 17 | 12 | 25—38 | 25 |
| „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) | 32 | 6 | 13 | 13 | 24—49 | 25 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 32 | 6 | 10 | 16 | 22—41 | 22 |

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ბესტის ფიგურა მუზეუმში

გამოჩენილმა ჩრდილოეთ ირლანდიელმა ფეხბურთელმა ჯ. ბესტმა („მანჩესტერ იუნაიტედი“) ბოლო წლებში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ინგლისში. ამის დამადასტურებელია ის ამბავიც, რომ 24 წლის ბესტის ფიგურა დადგეს ქ-ნ ტიუსოს „სანთლის ფიგურების მუზეუმში“. ამ მუზეუმში სულ რამდენიმე სპორტსმენის ფიგურა დგას, დანარჩენი ადგილები კი გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს, მწერლებს, კომპოზიტორებსა და მსახიობებს ეთმობათ.

### როცა მეკარე... უტევს!

„მიუნჰენ 1860“-ის ცნობილი მეკარე, იუგოსლაველი რადენკოვიჩი ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება. ადრე იგი დიდი წარმატებით გამოდიოდა იუგოსლავიაში, ახლა კი საიმედოდ იცავს მიუნჰენის ამ უძველესი კლუბის კარს.

მაგრამ რადენკოვიჩი მარტო მეკარე როდია, მას შეუძლია ძლიერად ითამაშოს თავდასხმაშიც. იგი დიდხანს თხოვდა თავის მწვრთნელს ოფიციალურ შეხვედრაში გამოეყვანა თავდამსხმელის როლში.

და აი, ბუნდესლიგის ერთ-ერთ მატჩში რადენკოვიჩი მართლაც თავდამსხმელის როლში მოგვევლინა. ამ დებიუტმა დიდი გამოცოცხლება გამოიწვია ტრიბუნებზე. რადენკოვიჩსაც თავი არ შეურცხვენია და მეტოქის კარში 2 ბურთის გატანით მატჩის გმირი გახდა. ამის შემდეგ მწვრთნელი მას დაჰპირდა დროგამოშვებით ათამაშოს თავდამსხმელად, რაც რადენკოვიჩს ძლიერ სურს.

### „რამსეის უნდა ახსოვდეს!“

„რამსეის უნდა ახსოვდეს, რომ მის გუნდს მართლაც სჭირდება „სისხლის გადასხმა“, — წერენ ინგლისელი მიმომხილველები. მათი აზრით, მსოფლიო ჩემპიონმა ევროპის პირველობაში ნათლად აჩვენა, რომ ყველაფერი წესრიგზე არა აქვს.

„გვერდს ნუ ავუვლით ისეთ ტალანტებს, როგორიც არიან თავდამსხმელები ოსგუდი („ჩელსი“), კლარკი („ლესტერ სიტი“), სამერბი და ბელი (ორივე „მანჩესტერ სიტი“) — ურჩევენ მიმომხილველები რამსეის.

როგორც ლონდონში გამოცხადდა, ინგლისელები გაისად აპირებენ გამართონ საერთაშორისო ამხანაგური მატჩები გფრ-ის, ბელგიის, იტალიისა და სხვა ქვეყნების ნაკრებ გუნდებთან.

### მექსიკელთა გადაწყვეტილება

მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, 1969-70 წლების სეზონში ეროვნული ნაკრები კონკურსგარეშე ითამაშებს თავისი ქვეყნის ჩემპიონატში. კლუბებს მითითება მიეცათ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ამ გუნდს. ეროვნული ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ნაკრები არ დაიშლება და განაგრძობს ინტენსიურ მზადებას მსოფლიო ჩემპიონატისთვის, დაგეგმილია რამდენიმე საერთაშორისო ამხანაგური მატჩიც უმაღლეს დონეზე.



„სპარტაკის“ საცურაო აუზი თბილისში.

ფოტო ო. გელაშვილისა.

## მოკლედ

● **ვაშინგტონი.** აშშ-ს ფეხბურთის ფედერაციამ შექმნა სელექციონერთა კომისია, რომელიც ამტკიცებს მოთამაშეებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის. ახლა ამ კომისიის თავმჯდომარის ჯ. მაკგირის განკარგულებაშია 30 მოთამაშე. 22 მათგანი მზადებას დაიწყებს ინგლისელ მწვრთნელის ფ. ვუსმანის ხელმძღვანელობით.

● **ლონდონი.** ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ 50 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა ნაკრების მოთამაშე ა. მალერი, რომელსაც მოედანი დაატოვებინეს ევროპის ჩემპიონატის მატჩში იუგოსლაველებთან.

● **მილანი.** „მილანის“ ცნობილმა მცველმა, გფრ-ის ნაკრების წევრმა შნელინგერმა კიდევ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი კლუბთან. ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ შნელინგერი სამშობლოში დაბრუნებას აპირებს.

● **მადრიდი.** სპეციალური მედლით დაჯილდოვდა კლუბი „ორენზე“, რომელმაც წლეულს II ლიგაში გამოსვლის უფლება მოიპოვა. საქმე ისაა, რომ ამ გუნდმა გაიტანა 98 გოლი, გაუშვა... 7!

● **პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ცნობილმა ფეხბურთელმა ს. პლუსკალმა თავი დაანება თამაშს და პრაღის „ბოჰემიანსის“ (მეორე ლიგა) მწვრთნელი გახდა.

### „ბ“ კლასი

რსფსრ-ს „ბ“ კლასის ზონების გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები გაიმართა 29 სექტემბერს.

#### III ზონა

„ურალანი“ (ელისტა) — „ტორპედო“ (არმავირი) 1:0, „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) — „უროჟაი“ (მაიკოპი) 0:1, „კოლოსი“ (ალექსანდროვსკაია) — „უროჟაი“ (ლაბინსკი) 1:1, „სპარტაკი“ (ორიოლი)—„მეტალურგი“ (რუსთავი) 1:1, „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 3:0, „სპარტაკი“ (ბელგოროდი) — „დილა“ (გორი) 2:0, „უროჟაი“ (სლავიანსკი) — „არაზი“ (ნახიჭევანი) 5:0, „ხიმიკი“ (ნევინომისკი) — „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) 3:0, „უროჟაი“ (ლენინგრადსკაია) — „დაშკინი“ (ზაქათალა) 1:0, „ტრუდი“ (ენგელსი) — „ხიმიკი“ (ბალაკოვო) 1:2.

#### IV ზონა

„შუქურა“ (ქობულეთი) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) 2:2, „მერცხალი“ (მახარაძე) — „ირისთონი“ (მოზდოკი) 3:0, „გურია“ (ლანჩხუთი) — „უროჟაი“ (გროზნო) 7:0, „უროჟაი“ (დერბენტი) — „სევანი“ (ოქტემბერიანი) 1:0, „ტრუდი“ (კასპიისკი) — „არაქსი“ (ეჩმიაძინი) 1:0, „კახეთი“ (თელავი) —„ლერნაგორცი“ (კაფანი) 7:0, „ნარზანი“ (კისლოვოდსკი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 2:0, „უროჟაი“ (კრიმსკი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 3:1, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:1, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 2:0.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 00909